საქართველოს მთავრობის

განკარულება №1162

2016 წლის 17 ივნისი

ქ. თბილისი

შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ისათვის საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის 2^3 პუნქტის შესაბამისად:

1. კირნათი ჰესისა და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის მიზნით, შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს (ს/კ: 245591426) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №22.32.02.372; №22.32.01.178; №22.32.02.337; №22.32.02.374; №22.32.02.351; №22.32.02.373; №22.32.01.210; №22.28.11.054; №22.31.03.318; №22.31.03.319; №22.31.03.320; №22.31.03.321; №22.31.03.322 და №22.31.01.789) არსებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) 151 (ას ორმოცდათერთმეტი) ინდივიდი ჩვეულებრივი წაბლი (Castanea sativa Mill);

ბ) 1 (ერთი) ინდივიდი უთხოვარი (Taxus baccata L.);

გ) 8 კბ კოლხური ბზა (Buxus colchica Pojark.).

2. შპს „აჭარ ენერჯი 2007“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით დაასაწყობოს სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს მას მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**